24-30 სექტემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა ოლღა სესკურიამ წაიკითხა სალექციო კურსი ვილნიუსის ტექნოლოგიებისა და დიზაინის კოლეჯში (ლიტვა).

ლექციების კურსი ჩატარდა სწავლების მიზნით Erasmus+ მობილობის პროექტის ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ვილნიუსის ტექნოლოგიებისა და დიზაინის კოლეჯი (Vilnius College of Technologies and Design – VTDKO).

ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერმა ვილნიუსში წაიკითხა საჯარო ლექციები სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე; გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და სახელშეკრულებო სამუშაოების, სტუდენტთა საველე-გეოლოგიური სასწავლო პრაქტიკების შესახებ, ასევე, საქართველოს მოსაპირკეთებელი ქვების საბადოებისა და მათ ირგვლივ არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

ლექციები ტარდებოდა სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებთან და ორმხრივი კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ლიტველი ახალგაზრდების

დაინტერესება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებითა და ზოგადად, ქართული საგანმანათლებლო სისტემით.

მობილობის ფარგლებში, ასევე, შედგა შეხვედრები ლიტვური უნივერსიტეტის ERASMUS+ ინსტიტუციონალურ კოორდინატორ, ქალბატონ ნიიოლე პოპოვიენესთან (Nijole Popoviene) (საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური), სადაც განხილული იქნა და დაიგეგმა ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ვილნიუსის ტექნოლოგიებისა და დიზაინის კოლეჯს შორის შემდგომი ორმხრივი სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ მობილობის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებას, ასევე გათვალისწინებული იყო სხვადასხვა საინტერესო სოციალურ-კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ვილნიუსისა და ტრაკაის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება.